

რუსულ-ქართული ურთიერთობები გლობალური "გაზის პოლიტიკის" ფონზე

საქართველოს ისტორიის, კონკრეტულად კი ბოლო ორი საუკუნის ისტორიის თუნდაც ზერელე ანალიზი გვიჩვენებს, რომ რუსეთის სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს კავკასიის რეგიონს. აღნიშნულ რეგიონში საკუთარი ინტერესების გასატარებლად კი ხშირად მიმართავს რეგიონის რიგი სახელმწიფოებისთვის (ან სუბიექტებისთვის) მკაცრ და დაუნდობელ მეთოდებს. ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფოების სიაში საქართველოცაა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსული სახელმწიფო მანქანის მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები (ერთი შეხედვით) გამოგნებელი სიხშირითა და განსაკუთრებული სიმძაფრით სწორედ საქართველომ განიცადა. მარტო ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, 2008 წლის აგვისტოს ომი რიგით მესამეა აფხაზეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის, ე.წ. "ცხინვალის ომთან" ერთად.

შესაბამისად, რუსეთის ინტერესების პოლიტიკური გაანალიზება "ქართული სახელმწიფოსთვის" სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა. ამ შემთხვევაში მთავარია იმის გააზრება, თუ როგორ კონტექსტში განვიხილავთ მას. საკითხვის განხილვა საერთაშორისო კონტექსტში აუცილებელი ჩანს თუნდაც იმიტომ, რომ საქართველო მუდმივად ახდენს "საერთაშორისო თანამეგობრობაზე" აპელირებას.

1. ევროკავშირის (ევროპის) ფაქტორი

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ომის შემდეგ ევროკავშირმა საქართველოსთან ურთიერთობაში ახალი (შეიძლება მოულოდნელიც კი) ნაბიჯები გადმოდგა, მას არ უცდია კავკასიის რეგიონში გავლენის შესანარჩუნებლად რუსეთთან ურთიერთობებში რადიკალური ცვლილებები შეეტანა. ევროკავშირის უმეტესი, თანაც წამყვანი ქვეყნებისა და რუსეთის შეხმატკბილებული ურთიერთობების მთავარ მიზეზად კვლავ ენერგორესურსები და ეკონომიკის საფუძველი – მოთხოვნა-მიწოდება რჩება. ჩვენი ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივებიც სავარაუდოდ აქედან უნდა გამოვთვალოთ.

როდესაც ევროპის საგარეო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, ალბათ უმჯობესი იქნება, გარკვეული დიფერენცირება მოვახდინოთ: ერთის მხრივ ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის საგარეო პოლიტიკა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა. ეს ორი ფაქტორი, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ და სხვადასხვა სიბტყეში უნდა განვიხილოთ. თუმცა, სანამ ევროკავშირის ან მისი წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე ვისაუბრებთ, მინდა ერთ-ერთი "ევროკავშირელი" ყოფილი მაღალჩინოსნის ფრაზა გავიხსენო, სადაც ის ევროპულ იდენტურობაზე საუბრობს: "მიმაჩნია, რომ დანამდვილებით არსებობს ევროპული იდენტობა. ჩვენ გვაქვს საერთო ისტორია, ჩვენ გვაქვს საერთო კულტურა და ასევე ღირებულებები... ამას ვხედავდი კიდევ ამ ხუთი წლის განმავლობაში, სადაც არ უნდა წავსულიყავი – სხვა კონტინენტზე, სხვა ქვეყანაში..."

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძველი და ახალი ევროპის გაგება, არსებობს ევროპის დასავლურ-ევროპული გაგება, რომლის მიხედვით აღმოსავლეთის (ევროპა) ახალი სახელმწიფოები არ გენეკუთვნებიან ტრადიციულ ევროპას – უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ერთიანი, საყოველთაო ევროპული იდენტობა (ღირებულებათა კრებული). აღნიშნულის სწორად გაგება, ვფიქრობ, გაგვიადვილებს იმ მოლოდინების გათვლას, რომელიც შეიძლება საქართველოს ხელისუფლებას (ნებისმიერ ხელისუფლებას) ჰქონდეს მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ევროპელი ანალიტიკოსი, ჟურნალისტი სწორად შენიშნავდა, რომ ღირებულებათა ამ კრებულში უპირველეს ყოვლისა ადამიანის ფუნდამენტური, ბუნებრივი უფლებების დაცვა, დემოკრატიისა და სამართლებრივი საზოგადოების მიზანმიმართული დაცვა და პატივისცემა იგულისხმებოდა. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ ევროპელთა საყოველთაო იდენტობისთვის არის კიდევ ერთი მახასიათებელი – ეს არის მენტალური და პოლიტიკური დემილიტარიზაცია. რას ვგულისხმობთ? მოდით მარტივად ავხსნათ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები, ისრაელი, რუსეთი არ ერიდებიან ძალის გამოყენებით პოლიტიკური მიზნების მიღწევას, ერთ დროს მეომარი ევროპა განსაკუთრებულად ითრევეს ფეხს ნებისმიერ სამხედრო კამპანიაში მონაწილეობაზე. მაგალითისთვის, ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციაში ევროპული კონტინგენტი სულ უფრო მცირდება, სამაგიეროდ ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა საქართველო, ქვეყანა, რომელიც ცდილობს მსოფლიოს მისი "ევროპელობა" დაუმტკიცოს. ერთ-ერთი ევროპული მედია-გამოცემის ჟურნალისტი სამართლიანად აღნიშნავდა: "ობამას ტალღამ ანტი-ამერიკული განწყობები მთლიანად წალეკა." ანტიამერიკული განწყობების დაგროვებას კი ექსპერტები ბუშის ადმინისტრაციის აგრესიულ პოლიტიკას მიაწერენ.

ის, რომ ევროპელები ე.წ. "Soft Power"-ის მიმართ დადებითად რეაგირებენ, სხვადასხვა ავტორიტეტული კვლევითი ცენტრების მონაცემებითაც დასტურდება. მაგალითად, "მარშალის ფონდის" მიერ ჩატარებული ყოველწლიური კვლევის მიხედვით ობამას საგარეო პოლიტიკას ივლისში ევროპელების 77%, ხოლო ამერიკელების 57% უჭერდა მხარს.

ჯორჯ ბუშის მანდატის მიწურულს, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას ევროპელების 19% იწონებდა. ევროპელები ევროკავშირის მოღვაწეობას ფრანგების 66% , ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისას 74%. მხოლოდ აღმოსავლეთ-ევროპის მოსახლეობის 44% გამოთქვამს უკმაყოფილებას ობამას რბილი პოლიტიკის მიმართ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს რომ ახალი ევროპელები მზად არიან საომარი მოქმედებებისთვის. მათ კარგად იციან რომ ძველი ევროპის წონა ზოგადევროპული პოლიტიკის ფორმირების პროცესში უფრო მნიშვნელოვანია და რომ მათი ზედმეტად ხისტი პოზიცია კიდევ უფრო განავრცობს ისეთ მიდგომებს როგორცაა – "აღმოსავლეთ-ევროპის ახალი სახელმწიფოები თითქოს არ გენეკუთვნებიან ტრადიციულ ევროპას". ამასთან ერთად აღნიშნული სახელმწიფოები ყველაზე მეტად არიან დამოკიდებულნი რუსულ გაზზე.

2. ენერგომატარებლების ექსპორტი

ევრაზიის კონტინენტიდან – ნედლი ნავთობის სახით 40% და ბუნებრივი აირის 35%-მდე ენერგო ექსპორტი ხორციელდება. თავისუფალი ენერგორესურსების 70%-მდე მარაგი კი ასევე ევრაზიის კონტინენტზეა. ევრაზიის დერეფნის ”კონტროლი” და ”ათვისება” ენერგომატარებლების სწრაფი მოხმარების გათვალისწინებით სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ევროპის რუსული გაზით მომარაგება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში დაიწყო დღემდე ასე გრძელდება. რუსეთის წილი დასავლეთ ევროპის გაზით მომარაგებაში 25 პროცენტს შეადგენს. ხოლო ნავთობის ექსპორტის კუთხით რუსეთი მსოფლიოში მეორე ადგილზე.

ენერგომომარეგების დივერსიფიკაცია ევროპისთვის სტრატეგიულ ხასიათს იძენს. ცნობილია რომ ევროკავშირის დოკუმენტები ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მოახდინონ ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია. შესაბამისად სამხრეთდერეფანს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. კონკრეტულად კი ნაბუქოს პროექტს, თუმცა არც ასე მარტივადაა საქმე. ამაზე ოდნავ მოგვანებით მანამდე კი ვისაუბროთ საქართველოზე, როგორც ”შავ ხვრელზე” რუსეთის სახელმწიფო ინტერესებში.

საქართველოს ტერიტორიაზე დასრულებული პროექტები:

1. აზერბაიჯანიდან “აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის” საბადოდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით ხორციელდება.
2. დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP) ბაქო-სუფსის მილსადენის სახელითაა ცნობილი. დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი BP-ის მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა საქართველოში და 1999 წლიდან ფუნქციონირებს.
3. შაჰდენიზის გაზსადენი, (ასევე სამხრეთ კავკასიის ან ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი) — ბუნებრივი აირის სატრანსპორტო მილსადენი შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში.

ოფიციალური მონაცემებით 2015 წლისთვის რუსეთიდან ევროპაში გაზის იმპორტი 2005 წლის მაჩვენებელთან შედარებით 59%-დან 75%-მდე გაიზარდა. თუ რუსული ენერგოპროექტების ალტერნატივები დღის სინათლეს ვერ იხილავს, რუსეთსა და ევროპას შორის შეხმატკბილებული პოლიტიკის მომსწრეები ისევ გავხდებით. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ შემთხვევაში ევროპის დამოკიდებულება კავკასიაში მიმდინარე პროცესებისამდია ისეთივე ”თავშეკავებული” დარჩება, როგორც დღესაა. მითუმეტეს თუ მათი მხარდაჭერის იმედი საქართველოს რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში აქვს. ცნობილი წიგნის სათაური – ”პატარა ომი რომელმაც შეძრა მსოფლიო” აბსოლუტურად სამართლიანად იმსახურებს კითხვის ნიშნებს ”შეძრა კი ამ ომმა მსოფლიო?”.

გერმანია

გერმანია საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე რუსული გაზის აქტიური მომხმარებელია და უფრო მეტიც, ის ცდილობს გახდეს ერთგვარი ჰაბი ევროპისთვის ენერგომატარებლების დივერსიფიკაციის პროცესში. ხოლო სტრატეგიული თანამშრომლობის გაღვივება ამ ორ ქვეყანას შორის უკვე ცივი ომის დასრულებიდან იწყება.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთმა, როგორც სახელმწიფო ისე, არაოფიციალურ დონეზე დაემყარებინა კავშირები ჯგუფებთან, რომლებიც რიგი პროექტების გეოპოლიტიკურ დატვირთვას წარმატებით მიაბამდნენ პირად ინტერესებს. რუსულ-გერმანულ სინამდვილეში ამის ნათელი მაგალითია გერჰარდ შრიოდერი და გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტიის კავშირები "გაზპრომთან" (კრემლთან). კომპანია Nord Stream AG- ში შრიოდერი დღეს ყველაზე მაღალანაზღაურებად თანამდებობაზეა, რასაც წინ უძღოდა შრიოდერის მეთაურობით გერმანიის მიერ გაცხადებული და ხელმოწერილი დასტური რუსეთის სასარგებლოდ "ჩრდილოეთ ნაკადში" მონაწილეობის შესახებ.

რუსი დისიდენტები და ექსპერტები სამართლიანად შენიშნავენ, რომ რომ შრიოდერისა და შტაინმაიერის მიერ "ნაკეთები" ლოიალური პოლიტიკა რუსეთის მიმართ განსაკუთრებულ ზინას რუსეთში, ღია, თავისუფალი და ლიბერალური საზოგადოების ჩამოყალიბებას უშლიდა ხელს. თანამშრომლობის ყველა სფერა რუსეთსა და გერმანიას ძირითადად კონომიკურ საწყისებზე გადიოდა. თუმცა იყო "ჰუმანიტარული" პროექტებიც.

1. გერმანული ინვესტიციების მოზიდვა რუსეთში.
2. რუსული ნედლეულის ექსპორტი გერმანიაში
3. "დრეზდნერ ბანკ"-ის საექვო კავშირები "გაზპრომ" – თან.
4. 2004 წლის 27 ოქტომბერს გერმანული ლობი კიოტოს პროტოკოლებთან დაკავშირებით (Федеральный закон «О ратификации Киотского протокола к Рамочной конвенции Организации Объединённых Наций об изменении климата» был принят Госдумой РФ 22 октября 2004 года и одобрен Советом Федерации 27 октября 2004 года)
5. 2005 წლის 11 აპრილს გაფორმდა სახელმწიფოთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ განათლების სფეროში.
6. გერმანია საფრანგეთთან და რუსეთთან ერთად მხარს არ უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას .

ევროკომისიის ოფიციალური მონაცემებით ევროპის (ევროკავშირის წვერი წვეყნები) მიერ ბუნებრივი აირის მოხმარებაზე რუსული გაზის წილი პროცენტულად ასე გამოიყურება:

- Estonia 100%
- Finland 100%
- Latvia 100%
- Lithuania 100%
- Slovakia 98%
- Bulgaria 92%

- Czech Republic 77.6%
- Greece 76%
- Hungary 60%
- Slovenia 52%
- Austria 49%
- Poland 48.15%
- Germany 36%
- Italy 27%
- Romania 27%
- France 14% (15.8)
- Belgium 5%
- United Kingdom 0%

დანარჩენი ქვეყნებისთვის კი ასე,

- Republic of Macedonia 100%
- Belarus 98%
- Serbia, Montenegro 87%
- Ukraine 66%
- Turkey 64%
- Croatia 37%
- Switzerland 12%

დღევანდელი მდგომარეობით კანცლერი მერკელი წინამორბედისგან განსხვავებით მეტ აქცენტებს აკეთებს რუსეთის კრიტიკაზე, თუმცა აღნიშნული კრიტიკა არ ცდება ადამიანის უფლებათა სფეროს. აღნიშნულით მერკელი ცდილობს შეინარჩუნოს და წარმოჩინდეს როგორც ევროპული ღირებულებების დამცველი, ლიდერი ქვეყანა. ამასთან ერთად კანცლერი ქმნის ილუზიას და ცდილობს მოახდინოს შრიოდერის ღია-პრორუსული განწყობების ნეიტრალიზაცია.


საფრანგეთი

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში (რუსეთთან დაკავაშირებით) ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენერგეტიკული ფაქტორი. რუსული გაზი საფრანგეთის მოხმარების 14-15% შეადგენს. ფრანგული კომპანია TOTAL S. A. გაზპრომის მთავარია პარტნიორია. 2009 წლის ნოემბერში ფრანგულმა გიგანტმა, კომპანია EDF-მა გაზპრომის სამხრეთ ნაკადის 10% წილი შეიძინა და კიდევ ერთხელ დაადასტურა ნაბუკოს ალტერნატიული მილსადენის მშენებლობის მხარდაჭერა.

GDF Suez – ასევე ფრანგულმა კომპანიამ, ასევე 2009 წლის ნოემბერში მოლაპარაკებების პროცესში წარმატების მიღწევის შესახებ განცხადება გააკეთა. ეს წარმატებები უკავშირდებოდა ”ჩრდილოეთ ნაკადის” შესახებ დაწყებულ მოლაპარაკებებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორივე ”ნაკადი” ნაბუკოს კონკურენტი

პროექტებია. აქვე მოვიშველიოთ ” სამხრეთ ნაკადის” ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული სტატისტიკური მონაცემები.

Рисунок



ასეთ სიტუაციაში არც საფრანგეთისა და არც გერმანიის საგარეო პოლიტიკური კურსის შინაარსობრივი მხარე სამხრეთ კავკასიის მიმართ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. თუმცა ფრანგულ-გერმანულ პოლიტიკაში კავკასიის მიმართ განსხვავებები მაინც არსებობს. რამდენად იმედის მომცემია ეს განსხვავება საქართველოსთვის, ეს ცალკე საკითხია, თუმცა განსხვავებული ფრანგული პოზიციის თუნდაც ზედაპირული გაანალიზება ურიგო არ იქნება. ფაქტია, რომ ”ფრანგები” თავს უფლებას აძლევენ უფრო მეტად კრიტიკულები იყვნენ რუსეთის მიმართ კავკასიის საკითხებში ვიდრე გერმანია.

რა არის ამის მიზეზი? ალბათ პირველი ის, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის იკვეთება შიდა პოლიტიკური კონკურენცია ევროპის ლიდერი სახელმწიფოს სტატუსზე. გარდა ამისა, რუსულ გაზზე დამოკიდებულების მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია გერმანიის მიერ მოხმარებული რუსული ბუნებრივი აირის რაოდენობაზე.

ორ ქვეყანას შორის ორ მხრივი თანამშრომლობები კიდევ უფრო ღრმა ფაზაში შევიდა. 2010 წლის 2 მარტს, რუსეთის პრეზიდენტისა და საფრანგეთის პრემიერის ფილონის შეხვედრაზე კმაყოფილებას ორივე მხარე გამოთქვამდა. მედვედევის განცხადებით, ” ახალი საზოგადოება რომელის რუსეთში ახლა ვითარდება იქნება საუკეთესო პლატფორმა კულტურათა გაზიარებისა და ორმხრივი თანამშრომლობისთვის”. შეხვედრაზე მედვედევმა გააკეთა განცხადება, რომ 2009 წლისთვის, რუსეთში, ფრანგული ინვესტიციების ოდენობა 10 მილიარდი დოლარი იყო. საფრანგეთი რუსეთის სავაჭრო პარტნიორთა ათეულში იტალიის შემდეგ მეცხრე ადგილაზე.

”საჭიროა რუსეთს სანდო პარტნიორივით მოვექცეთ” – ამბობს სარკოზი. რუსეთი და საფრანგეთი კიდევ უფრო შორს წავიდნენ. ენერგეტიკული და სავაჭრო სფეროდან თანამშრომლობამ უკვე სამხედრო სამხედრო სფეროში გადაინაცვლა. ჩვენ “მისტრალს” რუსეთისთვის სამხედრო აღჭურვილობის გარეშე შევქმნით – თქვა სარკოზიმ თუმცა ამ განცხადებას წინ უსწრებდა რუსი გენერლის, ვლადიმერ ვისოცკის განცხადება:

“a ship like that would have allowed the Black Sea Fleet to accomplish its mission in 40 minutes, not 26 hours, which is how long it took us.”

ფრანგული კომპანიის “არიან ესპასის” ხელმძღვანელმა, ჟან-ივ ლე გალმა მარტშივე გააკეთა განცხადება რომ რუსეთის ფედერაციას უკვე შეუკვეთეს 14 ერთეული რაკეტმზიდი ”სოიუზი”.

1 ნაწილის დასასრული

გიორგი მოლოდინი,

რუსეთის კვლევების ინსტიტუტი